პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 1 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

171 (869) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## წითელ არმიელო, გაასკეცებული ენერგიით განაგრძე საზაფხულო სწავლება!

კიდევ ერთი თვე დარჩა საბანაკო ცხოვრებისა.

ეს არ უნდა დაივიწყონ ჩვენმა წითელ არმიელებმა.

საზაფხულო მეცადინეობა უახლოვდება დასასრულს.

ბანაკში გასვლისას ჩვენი ამოცანა იყო ასი პროცენტით ნაყოფიერად გავლა მეცადინეობის საზაფხულო პროგრამისა. შევსძელით ჩვენ ეს?

სიმართლე უნდა ითქვას ბევრის გაკეთება მოვასწარით, მაგრამ დაკისრებული ამოცანა ჯერ კიდევ სრულიად არ არის განხორციელებული. დრო კი ცოტა დარჩა. რაც შეეხება საზაფხულო მეცადინეობის პროგრამას, ის სავსებით გავლილი უნდა იქმნას ყოველ მიზეზ გარეშე. ეს კი შესაძლებელია გაასკეცებული ენერგიით და ძალღონით.

საბანაკო პერიოდის უკანასკნელი თვე უნდა გატარდეს იშვიათი გულმოდგინე მეცადინეობისა და დაუღალავი მუშაობის ნიშნის ქვეშ. საჭიროა მეტის ენერგიით სამხედრო სწავლების და პოლიტმეცადინეობის წარმოება. არც ერთი წუთი არ უნდა იქმნას ტყუილად გაცდენილი.

შესაძლებელია ზოგიერთ მოლაშქრემ სთქვას; „რაღა სწავლის დროა, ცოტა დრო დარჩა, მალე უვადო შვებულებაში წავალ“! და კიდეც აიღოს მეცადინეობაზე ხელი.

ასეთ შეხედულებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

ვინც ასე მსჯელობს, მას სრულიად ვერ შეუგნია წითელ არმიელის მაღალი დანიშნულება. სწორედ ის გარემოება, რომ ცოტა დრო დარჩა და უვადო შვებულებაში წასვლის ხანი მოაწია, მოითხოვს წითელ-მოლაშქრისაგან გაასკეცოს თავისი მეცადინეობა სამხედრო და პოლიტიკურ დარგში, რომ უფრო მეტი მომზადებული წავიდეს სახლში.

ამრიგად საბანაკო სწავლება ჩატარებულ უნდა იქმნას იშვიათი ნაყოფიერებით და წარმატებით.

სიზარმაცის და გულგრილობის ყოველგვარ ნასახს სასტიკად უნდა შეებრძოლონ თვით წითელ-არმიელები.

მეტი ენერგია, მეტი მუყაითობა და მეტი შეგნებული მოპყრობა თავისი ვალდებულებებისადმი—აი რა უნდა ახასიათებდეს თითეულ წითელ-არმიელს.

უფრო მხნედ შეუდექით სამხედრო სწავლებას!

## ინგლისის პროლეტარიატის ერთობა და სიმტკიცე.

დიდი გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს ინგლისის სამთომადნო მუშებსა და სამრეწველოების მეპატრონეთა შორის. კაპიტალისტები მოითხოვენ ხელფასის დაკლებას და სამუშაო დღის გადიდებას.

ამით მათ სურთ ნაწილობრივ შეამსუბუქონ სამრეწველო კრიზისის სიმძიმე თავის სასარგებლოთ და პროლეტარიატის საზიანოდ.

მაგრამ მუშები მედგრად არიან.

კაპიტალისტების შეტევას მათ თავისი რიგების მთლიანი ფრონტი დაუპირდაპირეს.

ინგლისის მუშათა კლასის უმწეო მატერიალური მდგომარეობის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. ბურჟუაზიის ახალი შეტევა მეტი გაჭირების და შიმშილის დღეებით ემუქრება მათ. ამიტომაც მუშებმა გადასწყვიტეს შეურიგებელი ბრძოლა აწარმოონ კაპიტალისტების მოთხოვნილებების წინააღმდეგ. ცხადია ეს ბრძოლა მოითხოვს უამრავ ენერგიას და ფოლადისებურ სიმტკიცეს და მთლიანობას პროლეტარიატის რიგებში. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის მუშები ჯერჯერობით საუცხოვოდ იცავენ პროლეტარულ სოლიდარობას.

მათ შეიგნეს, რომ უამისოთ ერთი მეორეს მხარის დაუჭერლათ ისინი დამარცხდებიან. და ისინი არავითარ დათმობაზე არ მიდიან. ინგლისელი სამთომადნო მუშები მტკიცედ მოითხოვენ თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

კაპიტალისტები პირველ ხანებში ჯიუტობდენ და ემუქრებოდენ მუშებს, მაგრამ, როგორც უკანასკნელი რადიო გადმოგვცემს დათმობის გზას ისინი დაადგენ. რასაკვირველია მრეწველები კიდევ ცდილობენ თავისი გაიტანონ, მაგრამ მუშები შეურყევლად დგანან თავის პოზიციებზე. აი რას ამბობს პროფკავშირების ლენერალურ საბჭოს საგანგებო კომისიის დელეგაცია: „თანამედროვე მუშათა მოძრაობის ისტორიაში ჯერ არასდროს არ ყოფილა მუშათა განწყობილება უფრო მტკიცე და შეურყეველი, ვინემ მუშათა კლასზე დღევანდელ იერიშების დროს. ყველამ კარგად იცის, რომ თუ სამთომადნო მუშები ეხლა დამარცხდებიან, იმ შემთხვევაში დაიწყება იერიშები მუშების წინააღმდეგ მრეწველობის სხვა დარგებშიაც“. ამ რიგად ინგლისის პროლეტარიატმა უკვე შეიგნო ურყევი მთლიანობის და სოლიდარობის დაცვის აუცილებლობა თავის რიგებში. ის ცხოვრებაშიც ატარებს ამ პრინციპს.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ის ბოლომდი დაიცავს ამ მტკიცე ერთობას თავის რიგებში და გათავხედებულ კაპიტალს ხელს აალებინებს გაუმაძღარ მოთხოვნილებებზე.

—მ.

# ახალი რადიო-ამბები

## გერმანიის დელეგატები დონის ბასეინში.

**„ჩვენი ტეხნიკა და თქვენი რევოლიუციონური აღფრთოვანება დიდ შედეგებს მოიტანს“.**

გერმანიის დელეგაციის ერთი ნაწილი ამჟამად ათვალიერებს დონის ბასეინის მაღნებს.

ერთ მიტინგზე დელეგაციის თავმჯდომარემ ოფგაგენმა განაცხადა:

„მე მესმის მხოლოდ ერთი რუსული სიტყვა—„ამხანაგო“. მე იმედი მაქვს რომ ეს სიტყვა მალე გახდება საყოველთაო. მე ვიცი, რომ საბჭოთა კავშირში ცხოვრება ვერ არის სრულიად კარგი, მაგრამ, გერმანიის მუშები, რომლებსაც კარგი, განვითარებული ტეხნიკა აქვთ, უფრო ცუდად სცხოვრობენ. როცა დავბრუნდებით, ჩვენ მოუწოდებთ ჩვენს პროლეტარიატს დაგეხმარონ თქვენ მეცნიერებითა და ტეხნიკით. ჩვენი გერმანული ტეხნიკა და თქვენი რევოლიუციონური აღფრთოვანება დიდ შედეგებს მოგვცემს“.

## გერმანიის დელეგაცია ესალმება ამიერ-კავკასიის მუშებს.

გერმანიის დელეგაცია ამიერ-კავკასიის მუშებს უგზავნის სალამს, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ჩვენ მოვდივართ თქვენთან სრული შეგნებით, როგორც ძმები. ლენინგრადში და მოსკოვში ჩვენ დავრწმუნდით საზღვარგარეთელ მატყუარების ჭორებში.

თქვენ, რევოლიუციის მეოხებით გაითავისუფლეთ თავი და აიღეთ ძალაუფლება საკუთარ ხელში“.

## უთანხმოების შესახებ ინგლისის ნახშირის სამრეწველოებში.

იტყობინებიან, რომ ინგლისის სამთო მრეწველები მზად არიან შესცვალონ თავიანთი წინადადება, მაგრამ მუშებმა უარი განაცხადეს საკითხის განხილვაზე, ვინაიდან მოთხოვნილება ხელფასის შემცირების და დღევანდელ შეთანხმების შეცვლის შესახებ ძალაში რჩება.

29 ივლისს ბალდუინმა გამოიწვია პროფკავშირთა მთავარი საბჭოს მიერ შედგენილი საგანგებო კომისია და გააცნო მას მოლაპარაკება მრეწველებსა და მუშებს შორის.

ლიბერალური გაზეთები აღნიშნავენ ბალდუინის მერყეობას, რის მიზეზად ასახელებენ კაბინეტს შიგნით უთანხმოებას.

## ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია.

სრულიად ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენციის მესამე სხდომაზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა სუელსმა, რომელმაც გაილაშქრა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხაზი გაუსვა ბრძოლის აუცილებლობას კოლონიებში შრომის ექსპლოატაციის წინააღმდეგ და დასასრულ განაცხადა:

„კონფერენციის მთავარი ამოცანაა ყოველგვარი ღონისძიება იხმაროს, რათა ბოლო მოუღოს ასეთ გარემოებას მუშებისა და ჩაგრულ ხალხთა გაერთიანების გზით საერთო მჩაგვრელთა წინააღმდეგ“.

## ბულგარეთის მურომელთა ჯალათი.



ცანკოვი.

## განსაკუთრებულ კომისიის დეკლარაცია.

ინგლისის პროფკავშირთა საბჭოს განსაკუთრებულმა კომისიამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია:

„თანამედროვე მუშათა მოძრაობის ისტორიაში ჯერ არასდროს არ ყოფილა მუშათა განწყობილება უფრო მტკიცე და შეურყეველი, ვინემ მუშათა კლასზე დღევანდელ იერიშების დროს. ყველამ კარგად იცის, რომ თუ სამთო-მადნო მუშები ეხლა დამარცხდებიან, იმ შემთხვევაში დაიწყება იერიშები მუშათა წინააღმდეგ მრეწველობის სხვა დარგებშიაც“.

დეკლარაცია თავდება შემდეგი სიტყვებით: „დეე, ნუ დაიბადება აზრთა სხვადასხვაობა ჩვენს რიგებში“.

## შეტაკება ინგლისის პოლიციასა და ინდუსებს შორის.

**დახოცილია 300 ინდუსი ჯარის კაცი.**

გაზეთ „მინბაოში“ მოთავსებულია ჯერ კიდევ დაუსაბუთებელი ცნობები გონკონგში მომხდარ შეტაკების შასახებ, რის მსხვერპლიც გახდა ინდუსთა სამასი ჯარისკაცი.

გაზეთში ნათქვამია, რომ ინგლისის ძალებმა განკარგულება მოახდინეს გონკონგიდან კანტონში ინდუს ჯარის კაცთა გადაყვანის შესახებ, მაგრამ ინდუსებმა უარი სთქვეს და მოიწვიეს ფარული თათბირი.

ინგლისელებმა მოინდომეს მათი განიარაღება და როგორც სჩანს განიარაღების დროს მოხდა შეტაკება, რის შედეგად დაიღუპა 300 ინდუსი.

ეს ამბავი მომხდარა 1-ლ ივლისს, მაგრამ ცნობები არ გაუშვია ცენზურას.

ორშაბათს, 3 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის ალმასკომის დარბაზში დანიშნულია ტფილისის

**ალმასკომის პლენუმის სხდომა.**

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1. მოხსენება საამშენებლო-სამრეწველო სააქციონერო საზოგადოება „სამშენი“-ს ორგანიზაციის შესახებ.
2. მოხსენება ზაჰესკომისთვის ხარჯთ-აღრიცხვაში გაუთვალისწინებელ დამატებითი ხარჯების შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

# მშრომელი ხალხის გამცემლები პროლეტარული სამსჯავროს წინაშე

24 ივლისის საღამოს სხდომის გაგრძელება.

**გრიგოლ ცინცაძე** (41 წლის, მენშევიკი), ბრალდებული არალეგალური მუშაობისთვის 1922 წლის ოქტემბერში გადასახლებული იყო ევროპაში. დაბრუნების შემდეგ მან კვლავ განაგრძო არალეგალური მუშაობა, იყო ტფილისის კომიტეტის თავმჯდომარე. აწყობდა გვარდიელების პარტიულ ორგანიზაციებს.

—როცა აჯანყება დამარცხდა—ამბობს ის მე მივიღე მონაწილეობა სისხლის ღვრის შეჩერებაში, სადაც ის კიდევ გრძელდებოდა, მთავრობის ამნისტიის შემდეგ მე ვისარგებლე ამ შემთხვევით და დავაზავე ხალხი სოფლად, რომ ვინც გახიზნული იყო, მთავრობას შერიგებოდა.

## 25 ივლისის დილის სხდომა.

**გრძელდება ბრალდებულთა დაკითხვა.**

ბრალდებული კახიანი (მუშა, 47 წლ. ს. დ. პ. წევრი 1900 წლიდან).

ბრალდებულის ჩვენებიდან ირკვევა შემდეგი:

1922 წ. ის გაპარულა საზღვარგარედ. დაბრუნებულა საქართველოში 1923 წ. თებერვლამდი. ამ დროიდან ის აწარმოებდა მუშაობას პარიტეტული კომიტეტის დავალებით და აწყობდა საქართველოში სამხედრო ორგანიზაციებს' აჯანყებაში მონაწილეობა მას არ მიუღია, ვინაიდან წინასწარ იქნა დაპატიმრებული.

ბრალდებული **ჯინორია** (37 წ. ინტელიგენტი, სოც. დემ. პ. წევრი 1904 წლიდან). ბრალდებული აცხადებს, რომ ის იყო ცეკას ბიუროს პრეზიდიუმის წევრი, შედიოდა სამხედრო კომისიაში და შემდეგ უშუალო მონაწილეობას ღებულობდა და ხელმძღვანელობდა აჯანყებას დასავლეთ საქართველოში. როგორც თვითონ აცხადებს, მას ისე კარგად ჰქონია „სამხედრო მექანიზმი“ მოწყობილი, რომ ტფილისს სულ ადვილად ჩავიგდებდითო, მაგრამ როგორც სჩანს, სწორედ ამ „მექანიზმში“ მოხდარა მარცხი, რამაც გამოიწვია მთელი გეგმის დამარცხება.

**ნიკოლოზ ქარცივაძე** (48 წლის, ინტელიგენტი, ვექილი, ს. დ. პ. წევრი 1914 წლიდან) ამბობს, რომ ის გაგზავნა მენშევიკურმა ცეკამ პარიტეტში სამუშაოდ 1922 წლის აგვისტოში. ძირითადი დებულება ყოფილა ასეთი, რომ არც ერთი კითხვა პარიტეტში არ უნდა გადაწყვეტილიყო ხმის უმეტესობით—ყველა უნდა შეთანხმებულიყო. ეს დებულება მისი პარიტეტში ყოფნის დროს არც დარღვეულა. ხევსურეთის გამოსვლების შესახებ ბრალდებული ამბობს, რომ ამ ამბებში არც ერთი პარტიასა და არც დამოუკიდებელ კომიტეტს მონაწილეობა არ მიუღია. ჩვენ კიდეც მოვინდომეთ ამ გამოსვლების ლიკვიდაციაო.

იყო თუ არა პარიტეტის მიზანი აჯანყების მოწყობა, ამაზე ქარცივაძე აცხადებს:—„1922 წელში მე დავსვი ეს საკითხი პარიტეტში. ამ დროს დადიოდა სხვადასხვა ხმები და ჩვენ ვი ფიქრეთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება გვიწვევს სომრათო. აჯანყების წინადადება ჩვენ არ მიგვიღია, ვინაიდან არ დაგვეთანხმა გიგო რცხილაძე და ეს საკითხიც მოიხსნა“. რაც შეეხება ტერორისა და გაძარცვის საკითხს, ბრალდებული ამას სრულებით უარყოფს, რომ მისი მუშაობის დროს არც არავინ მოუკლავთ და არც არავის დასცემიან თავს.

ამით თავდება ბრალდებულთა დაკითხვა.

## 28 ივლისის დილის სხდომა.

**სახელმწიფო ბრალმდებელის ამხ. ნიკოლოზ ოკუჯავას სიტყვა.**

ბრალმდებელი ოკუჯავა ეხება, თუ როგორ უკავშირდებიან ერთმანეთს ოქტომბრის რევოლიუციის დღიდან მეორე ინტერნაციონალის პარტიები და ბურჟუაზია და კავშირს აბამენ საერთაშორისო ბურჟუაზიასთან, თუ რა მიზნით აცალკევებს რუსეთისაგან აქაური სოციალ-დემოკრატია ამიერკავკასიას და მათი მოქმედების წყალობით, როგორ ხდება ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო რუსეთისა და საერთაშორისო ბურჟუაზიის ბრძოლის პლაცდარმად (ბაზად).

**რა ხდება „დემოკრატიულ“ საქართველოში.**

ამიერკავკასიის გამოყოფა—ამბობს ბრალმდებელი—მთლიანად არ იყო ხელსაყრელი საერთაშორისო ბურჟუაზიისათვის და კიდეც მიიღწია მან თავის სურვილს: ამიერკავკასია დაიქსაქსა პატარა სახელმწიფოებათ. საქართველოში გამეფდა პარტიების დიქტატურა, რაიც აშკარად მოსჩანს სხიველების დეკლარაციიდან დამფუძნებელ კრებაში. 1918 წლიდანვე საქართველოს სხვადა სხვა კუთხეებში იწყება მუშებისა და გლეხების აჯანყებები, მაგრამ მას სისხლში ახჩობენ. მაგრამ მოხდა საქართველოს გადატრიალება. საქართველოს პარტიები კერძოდ მენშევიკური უშვებს დეკლარაციას კულტურული თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ იმავ დროს ისინი ადგიან ძველ პოზიციას და ამზადებენ აჯანყებას.

**როდის დაიწყო მზადება აჯანყებისთვის.**

1921 წლიდან იწყება შეიარაღებულ აჯანყებისთვის მზადება. აქ ამბობენ, რომ მზადება დაიწყო 1923 წელსო—არ არის მართალი ეს, ამას ამტკიცებს ჭეიშვილის, კალანდარაშვილისა და სხვების ჩვენება. და ამ მზადებას აწარმოებდა არა მარტო მენშევიკური პარტია, არამედ აქ იყვენ სხვა პარტიებიც.

**როდის დაიბადა „პარიტეტული კომიტეტი“.**

როდის დაარსდა პარიტეტული კომიტეტი, ამის შესახებ სხვა და სხვა თარიღებს გვიჩვენებენ. მაგრამ ჩვენ გვაქვს სწორი თარიღი. პარიტეტულ კომიტეტის პირველი თავმჯდომარე გვიჩვენებს, რომ ის დაარსდა 1921 წლის მაისში. ვინ იყო ამ საქმის თაოსნები. ცხადია პასუხიერთი უნდა იყოს: ყველა პარტიები. ჩვენებაში მოყვანილია საუბარი მარიამიძესა და ფირცხალაიშვილს შორის, როცა რცხილაძეს ათავისუფლებდენ ციხიდან: „ჩვენ გვტოვებენ აქ და პარიტეტულ კომიტეტის სულის ჩამდგმელ რცხილაძეს კი ათავისუფლებენო“. ახლა ვნახოთ, როგორ როლს თამაშობდენ სხიველები. აქ მოწმემ სთქვა, რომ ამ მუშაობის სულის ჩამდგმელი იყო სხიველების ცეკას წევრი გრიგოლ გიორგაძეო.

ჩვენ ვხედავთ, რომ პარიტეტში იწვევენ როგორც უჯარო სხიველებს, ისე ესერებს.

**სად დაიბადა აჯანყების იდეა.**

შემდეგ ბრალმდებელი ეხება აჯანყების იდეის წარმოშობას და მოწმეების ჩვენებების მიხედვით ამტკიცებს, რომ როგორც პარიტეტული კომიტეტი, ისე აჯანყების იდეა დაიბადა საზღვარ გარედ, როცა მუსავატელებმა, მენშევიკებმა და დაშნაკებმა კავშირი შეჰკრეს ურთიერთ შორის.

**ვინ შექმნა ბანდები.**

აქ ბრალმდებელი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ დაუკავშირდენ სხვა და სხვა პარტიები ბანდიტების ხელმძღვანელებს და როგორ აძლევდენ დირექტივებს მათ მენშევიკები, ნაციონალ—დემოკრატები და საერთოდ პარიტეტული კომიტეტი. აღნიშნავს აგრეთვე დავას პარტიებს შორის, თუ ვის საკუთრებად გამოეცხადებინათ ჩოლოყაშვილის ბანდა.

**როგორ დაიწყო 1922 წლის აჯანყება და ვინ მოაწყო ის.**

აჯანყების მოწყობის შესახებ ბრალმდებელი ამბობს, რომ ამისთვის კარგა ხანია 1922 წლის მარიამობისთვემდი ეწყობოდა აქა იქ ბანდების გამოსვლები. 22 წლის მარიამობისთვეში, როგორც ნარიკელაძე გვიჩვენებს, ცენტრალური კომიტეტი აწყობს ოფიცრების რაზმებს, აგზავნის ოფიცრებს სოფლად და აკავშირებს ერთმანეთთან სისხლის სამართლის ბანდებს.

ამრიგად 22 წლის გამოსვლების ინიციატივაში ბრალდებას ვერ მოიშორებს თავიდან როგორც ნაციონალ-დემოკრატები, ისე მენშევიკები. რაც შეეხება დანარჩენ პარტიებს, ისინი პრინციპიალურად წინააღმდეგი არიან აჯანყების, სეირს უყურებენ და თავისი პასივობით ხელს უწყობენ აჯანყებას.

შემდეგ ბრალმდებელი ეხება ხომერიკის ჩამოსვლის მიზნებსა და დროს, მის მუშაობას, კავშირს სხვა პარტიებთან, სხვა პარტიების მოქმედებას და ბოლოს ამბობს: თუ ყველა პარტიებს ვერ დავადებთ ხელს, ამ აჯანყებაში პასუხისმგებლობას ვერ მოიცილებენ **ნაციონალ დემოკრატები, სოც. დემოკრატები და ესერები, მაგრამ რაც შეეხება ფედერალისტებსა და სხიველებს, ისინი ვერ მოიცილებენ ამ ბრალდებას, ვინაიდან მათ იცოდენ ამ მუშაობისა და სამზადისის შესახებ და ამ მხრივ, უსათუოდ მათაც ბრალი ედებათ.**

**ვინ მოკლა ობოლაძე, გიორგაძე და ქაიხოსროშვილი.**

ბრალმდებელი ეხება ტერორისტულ აქტებს და მოწმეების ჩვენებიდან ამტკიცებს, რომ მკვლელობები შესრულებულ იქნა პარტიულ ორგანიზაციების კარნახით.

შემდეგ ის გადადის იმ მომენტზე, როდესაც სწარმოებს აჯანყების სამზადისის გაფართოება და როგორ იჭერს პარიტეტული კომიტეტი კავშირს ჩრდილო—კავკასიასთან.

**აჯანყების მიწურულში.**

შემდეგ—ამბობს ბრალმდებელი,—როდესაც ახლოვდება აჯანყება ჩრდილოეთ-კავკასიაში იგზავნება კაცები, რათა იქიდანაც გამოიყვანონ ხალხი, რათა მთის ხალხმაც შესწიროს თავი მათ ავანტიურას.

საბედნიეროდ ეს არ მოხდა, მთის ხალხი უფრო ჭკვიანი გამოდგა, ვიდრე 5 პარტიისაგან შემდგარი პარიტეტული კომიტეტი.

ავალიშვილი, ნაკაშიძე და ბერიძე მიემგზავრებიან, დაახლოებით 11 მარიამობისთვეს, 14 უკვე იქ არიან, მაგრამ ვინ იძლევა დირექტივებს. ბევრი ეცადა აქ ავალიშვილმა, რომ პარიტეტული კომიტეტის რწმუნებულობიდან დაეხსნა თავი, მაგრამ ეს ვერ ქნა და ვერც დაიხსნის, რადგანაც ის იყო პარიტეტული კომიტეტის რწმუნებული და მიდიოდა მთაში არა მარტო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით, არამედ პარიტეტულ კომიტეტის თავმჯდომარის კოტე ანდრონიკაშვილის სახელითა და დავალებით.

**თავმჯდომარე:** სასამართლოს სხდომას ვსწყვეტ საღამოს 6 საათამდე.

(ამხ. ნ. ოკუჯავას სიტყვის დასასრული იქნება შემდეგ ნომერში).

# სამხედრო საქმე

## სხვადასხვა იარაღის ჯართა შეერთებული საბრძოლო მოქმედება.

მალე დადგება სწავლების უკანასკნელი საფეხური—საერთო შეკრების პერიოდი. ამ დრომდი ყოველი გვარის ჯარი—ქვეითი, ცხენოსანი, არტილერია და ტეხნიკური ნაწილები—სწავლობდენ თავიანთ საქმეს დაწვრილებით; ეხლა კი მეცადინეობა იწარმოებს შეერთებულად, რომ თვითეული მეომარი გაეცნოს სხვა გვარი ჯარების მეომართა მუშაობას. ბრძოლაში ყველა ჯარები ასრულებენ საერთო ამოცანას, მაგრამ ყოველი გვარის იარაღი მუშაობს თავის სპეციალობის ფარგლებში. ბრძოლაში რომ წარმატება იყვეს, საჭიროა ეს შეერთებული მუშაობა შეთანხმებულ იქნას ისე, რომ ერთი მეორეს თავისი მოქმედებით დახმარებას უწევდეს. ეს ურთიერთ დახმარება აუცილებელი პირობაა ყოველგვარ საბრძოლო მუშაობაში. თავისთავად ცხადია, რომ მოქმედების შეთანხმებულობა შეიძლება მიღწეულ იქნას სწავლებითა და ვარჯიშით. აი რატომ შეიცავს მომავალი მეცადინეობის პროგრამა მსხვილი ნაწილების მუშაობას, რომლებიც შესდგებიან სხვა და სხვა გვარი იარაღის ჯარისაგან. ამით თავდება სამხედრო საქმის სწავლება. ამ რიგად ჩვენ ვიწყებთ იმ საქმეს, რის გაკეთებაც ჩვენ მოგვიხდება ნამდვილ ბრძოლაში

მაგრამ ეს მეცადინეობა რომ წარმატებით ჩატარდეს, ამისათვის საჭიროა თვითეულმა მეომარმა იცოდეს—რა დანიშნულება აქვს ამა თუ იმ გვარის იარაღს, რა საბრძოლო ამოცანის შესრულება შეუძლია მას, რა ძლიერი მხარეები აქვს მას, რაში გამოიხატება მისი სისუსტე და სხვა. ერთი სიტყვით საჭიროა დაწვრილებით გაეცნო სხვა გვარი იარაღების ჯარებს, რომლებთანაც მოუხდება შეერთებული მოქმედება ბრძოლაში.

ძველ დროში, როცა ცეცხლის მტყორცნი იარაღები ჯერ კიდევ არ იყო ხმარებაში, ბრძოლას სწყვეტდა ცხენოსანი ჯარი. ის დაესხმოდა მტერს, ავიწროებდა მას ცხენებით და სჩეხდა. ქვეითი ჯარი თითქმის ვერავითარ როლს ვერ თამაშობდა. მაგრამ ცეცხლის მტყორცნი იარაღების შემოღებით ქვეითი ჯარის მნიშვნელობა თანდათან გაიზარდა.

ამასთან ერთად ხმარებაში შემოვიდა არტილერია, რომლის მნიშვნელობა მდგომარეობს ცეცხლის სიშორეში, სიძლიერესა და განმანადგურებელ თვისებაში. რაც ქვეითა ჯარს არ შეეძლო გაეკეთებია თავისი ტყვიით, იმას აკეთებდა არტილერია და ამით ის არსებით დახმარებას უწევდა ქვეითა ჯარს.

ყოველი არმიის მრავალრიცხოვან ნაწილს დღეს ქვეითი ჯარი შეადგენს, იმიტომ, რომ მას აქვს მეტად ბევრი საბრძოლო თვისება იმ დროს, როცა სხვა გვარი იარაღის ჯარს აქვს ერთი ან ორი ამ თვისებათაგანი.

ყველამ იცის, რომ ქვეითა ჯარს არ აქვს ისეთი ცეცხლის ძალა, როგორც არტილერიას.

ქვეითა ჯარსა და არტილერიის არ შეუძლია გამოიჩინოს დაკვრის ისეთი ძალა, როგორც ცხენოსან ჯარს. ერთი სიტყვით, ესა თუ ის ჯარის გვარი თავისი ძლიერი მხარით ავსებს მეორის სუსტ მხარეს.

საჭიროა მხოლოდ მიმართოთ ჯარების მოქმედება ისე, რომ ისინი ურთიერთ დახმარებას უწევდენ ერთმანეთს თავიანთი მოქმედებით, ე. ი. იქ, სადაც ვსთქვათ უძლურია ქვეითი ჯარის ძალა გრძელი მანძილის გამო, მას უნდა დაეხმაროს არტილერია.

პ.

# არმიის მე-4 ოლიმპიადა.

29 ივლისს დილით დანარჩენმა ხუთმა ოცეულმა, რომელთაც წინა დღით არ მიუღია მონაწილეობა, ჩაატარეს: ლაშქრული „მარში“ სრული შეიარაღებით 20 კილომეტრზე, გარბენა 1500 მეტრზე და სროლა წელზევითა სანიშნებში.

საბოლოო შედეგის მიხედვით 2 დღის შეჯიბრში 1 ლი ადგილი დაიჭირა ლენინაკანის საბანაკო შეკრების ოცეულმა, მეორე ადგილი ქართულ ატლეგიონის ოცეულმა და მესამე ადგილი ტფილისის გარნიზონის № ლეგიონმა.

ნაშუადღევს ლენინის სახელობის სტადიონზე ოლიმპიადის განწევრის საფინალო შეჯიბრი. ფინალში გამოვიდენ № არტლეგიონის და სტეპინის № დივიზიის გუნდები.

ეს თამაში საინტერესო იყო მთელ შეჯიბრებს შორის. ორივე გუნდები თამაშობდენ წესიერად. სტეპინელები უფრო გაწვრთნილები აღმოჩნდენ და უფრო მოფიქრებულად აკეთებდენ ბურთის გადაცემის კომბინაციებს. არტილერისტებში განსაკუთრებით კარგად თამაშობდა **მეკარე**. შეხვედრის საერთო შედეგია 1:0 სტეპინელთა **ჯგუფის** სასარგებლოდ. გუშინ წინ ოლიმპიადის უკანასკნელი დღე იყო. ჩატარებულ იქნა სიარული 10 კილომეტრზე. შემდეგ ჩატარდა განწევრი ოლიმპიადაზე გამარჯვებულთა და მე-21 მეთქვეითი სკოლის შორის. საღამოს გაიმართა ალლუმი და ჯილდოების დარიგება.

# მე-4 ასეულმა გაიმარჯვა ოლიმპიადაზე.

(№ ლეგიონი.)

საარმიო მე-4 ოლიმპიადაზე მე-4 ასეულის წითელ-არმიელებმა, მე-2-ე ადგილი დაიკავეს სროლაში მთელს არმიაში.

აი იმ წითელ არმიელების სახელი და გვარი, რომლებმაც სროლის ვარჯიშში ასახელეს ასეული: 1. ანდრო ბერაია, 2. ვალერიან თურქაძე, 3. მიხა ჩოჩიშვილი, 4. კალისტრატე ბუაძე, 5. ანდრია ხუჯაძე, 6. ოგანეზი მალიანცი, 7. გიგო მიკიჩიშვილი, 8. ლიუდვიმ დავრიშიანცი, 9. გიორგი ლითანიშვილი, 10. იოსებ ბერძენიშვილი, 11. ივანე ჭინჭრაშვილი, 12. ნიკოლოზ აბულაძე, 13. იასონ სიდამონიძე, 14. პეტრე ბუბურიშვილი, 15. აკაკი გვალია, 16. კონსტანტინე ზარქუა და 17. ზემდეგი ვაშაკიძე.

წ. არ. ნ. ჯავახია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ქიმიური თავდაცვის საქმე ჩვენთან.

(მეექვსე ტერ ლეგიონი).

სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქიმიური თავდაცვის გაუმჯობესების საქმეს. კვირაში ორჯერ ლეგიონის ქიმიური თავდაცვის ხელმძღვანელი კი კითხულობს ქართულ და რუსულ ენებზე ლექციებს ქიმიის წარმოშობის და მისი განვითარების შესახებ.

ჩვენი ცვალებადელები ძალიან დაინტერესებულნი არიან ამ საგნით. ისინი აუარებელი შეკითხვებს აძლევენ თვითეული ლექციის დამთავრების შემდეგ ამხ. ხელმძღვანელს.

დღემდი ამხ. ხელმძღვანელს მარტო უხდებოდა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მუშაობა ამ დარგში, რაც, რა თქმა უნდა, ერთნაირ სიძნელეს წარმოადგენდა მისთვის.

მას უხდებოდა ერთი საათის განმავლობაში ლექციის წაკითხვა ორ ენაზე: ქართულად და რუსულად, შემდეგ ამ ერთი საათის განმავლობაში უნდა გადათარგმნილიყო სომხურ, თათრულ და გერმანულ ენებზე, დღეს კი ამ მდგომარეობიდან შეიძლება გამოვიდეთ, რადგან ამ დღეებში ლეგიონში დაბრუნდა მოსკოვში ქიმიური თავდაცვის კურსებზე გაგზავნილი წით. მოლაშქრე ამხ. გიორგი ასანიძე, რომელმაც ჩინებულად დაამთავრა ხუთ თვიანი კურსები.

საკმაოდ გათვითცნობიერებული დაუბრუნდა თავის ნაწილს.

ჩვენ ტერ-ლეგიონში დღემდი არსებობდა როგორც ქიმიის მეგობართა საზოგადოების ისე საჰაერო ფლოტის უჯრედიც, რომლებიც გაერთიანებულ იქნენ საკავშირო რესპუბლიკების მაშტაბით ერთ უჯრედში „ავიოქიმში“.

ხსენებული ორი უჯრედის ერთ უჯრედში გაერთიანების მიზნით 29 ივლის სლეგიონის კლუბის დარბაზში მოწვეულ იქმნა უფპოლიტშემადგენლობის და წითელ არმიელთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც ქართულ ენაზე ამხ. ასანიძის მიერ გაკეთებულ იქმნა მოხსენება ქიმიის წარმოშობის და მისი მნიშვნელობის შესახებ, როგორც ომის დროს, ისე მშვიდობიანობის დროსაც მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

ამავე თემაზე რუსულ ენაზე ილაპარაკა ამხ. სახელაშვილმა, რომლის დამთავრების შემდეგ გამოტანილ იქმნა მოკლე შინაარსის რეზოლიუცია, სადაც ცვალებადელები სურვილს გამოსთქვამენ გახდენ „ავიოქიმის“ მეგობართა საზოგადოების წევრნი.

უჯრედის ხელმძღვანელობა როგორც იდეური, ისე ტეხნიკური დაევალა ამხ. სახელაშვილს და ასანიძეს, რომლებიც იმედია თავისი დანიშნულების სიმაღლეზე დააყენებენ მის მუშაობას და ჩააბამენ ცვალებადელთა უმრავლესობას.

სამხკორი 6. ას-ნი.

## საშეფო სოფელი ვინახულეთ.

მე-4 ლეგიონი.

19 ივლისს, დილის 7 საათზე, მე-4 ლეგიონის მე-6 ასეულის უფპოლიტ და წითელ-არმიელთა შემადგენლობა გაემგზავრა თავის საშეფო სოფელ №-ში. სოფლის მახლობლად შეგვხდენ გლეხები, რომლებიც გზას აკეთებდენ. მისალმების შემდეგ, წითელ-არმიელებმა გამოართვეს მათ სამუშაო იარაღები და თვით შეუდგენ გზის კეთებას.

გლეხები ამით ძლიერ კმაყოფილნი დარჩენ.

მუშაობამ გასტანა კარგა ხანს. ამ დროს ოცის თავმა აცნო სოფელს ჩვენი მისვლა და მთელმა სოფელმა აქ მოიყარა თავი. აქ იყო ქალი და კაცი, დიდი და პატარა. გაიმართა სიმღერა, ცეკვა-თამაში. ყველა მხიარულობდა. უეცრივ ხალხში ჩამოვარდა სიჩუმე. ტრიბუნაზე ადის ამხ. გიორგობიანი, რომელიც მისასალმებელ სიტყვით მიმართავს გლეხობას და შემდეგ უხსნის მათ: ტერიტორიალურ ჯარის მნიშვნელობას, წითელი და მეფის ჯარების შორის განსხვავებას და ჩვენი მისვლის მიზანს. ჩვენი მისვლის მიზანია,-ათავებს თავის სიტყვას ამხანაგი,-სოფელთან მტკიცე კავშირის დამყარება. შემდეგ წ. ა. ბერიშვილი აცნობს გლეხობას, თუ როგორ პირობებში იმყოფებიან წითელ-არმიელები ყაზარმაში.

დასასრულ სამადლობელი სიტყვით გამოვიდა მეფის არმიაში ნამყოფი გლეხი, რომელიც წყევლა-კრულვით იგონებს მეფის ჯარში სამსახურს და მოუწოდებს წითელ-არმიელებს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დაცვისაკენ. სიტყვების შემდეგ წითელ არმიელები ურიგებენ გლეხებს ჟურნალ გაზეთებს და წიგნებს. საღამოს წითელ-არმიელები „ვაშას“ ძახილით და სიმღერით დაბრუნდენ ყაზარმაში.

წ. ა. წვერავა.

## საბიბლიოთეკო მუშაობა მოიკოჭლებს.

მე-4 ლეგიონი.

1-ლი ათასეულს აერთიანებს სამი ასეული და 5 გუნდი. ყველა ასეულებში და გუნდებში დაარსებულია მოძრავი ბიბლიოთეკები. გამოყოფილია ბიბლიოთეკები, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ ამ დარგს და ხელი შეუწყონ გაზეთების და წიგნების გავრცელებას თავიანთ ასეულებში.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ასეულის ბიბლიოთეკარები, სამწყობრო მეცადინეობის დროს, ძალზე იღლებიან და მოძრავ ბიბლიოთეკებს სათანადოთ ვერ ხელმძღვანელობენ.

გარდა სამწყობრო და საბიბლიოთეკო დარგებში მუშაობისა, ზოგიერთ ასეულის ბიბლიოთეკრები ჩათრეული არიან ასეულებში სხვა და სხვა საკანცელარიო საქმეში.

ამ გარემოებამ ასეულების მოძრავი ბიბლიოთეკები ჩააყენა ცუდ პირობებში.

ხშირად აქვს ადგილი წიგნების დაკარგვას და სხ.

საჭიროა ამ არა ნორმალურ მოვლენას მოეღოს ბოლო.

ტ.

## ამხ. ჭანტურიშვილის წერილის გამო.

ა. წ. 30 ივლისის გაზეთ „წითელ არმიელის“ № 169-ში მოთავსებულია წერილი სათაურით „საჭიროა გამოხმაურება“. აქ ამხანაგი დ. ჭანტურიშვილი აღნიშნავს სრულიად სამართლიანად, რომ ერთი საუკეთესო მეთოდი სკოლის გარეშე მუშაობის გამოცოცხლების არის შეჯიბრი ტერლეგიონების ურთიერთ შორის სკოლის გარეშე მუშაობის დარგში.

მე სრულიად და სავსებით ვიზიარებ ამხანაგის აზრს, რომ მოეწყოს დივიზიის პოლიტგანის აგიტპროპის უფროსის განკარგულებით შემფასებელი საკონკურსო კომისია ამა თუ იმ ტერნაწილის აღნიშნულ დარგში მიღწევების დასაფასებლათ.

ჩემის აზრით საჭიროა კომისია იქნეს დანიშნული და შეუდგეს თავის მუშაობას 2 აგვისტოდან ვინაიდან 15 აგვისტოს შემდეგ ნაწილები ვერ მოიცლიან ამისათვის რადგან, ისინი იქნებიან მზადებითი პერიოდში საერთო ტერშეკრებისათვის.

ჩემის შეხედულებით მიზანშეწონილი იქნება გამოძახილი ნაწილებისა აწარმოოს თვით კომისიამ.

მეექვსე ტერლეგიონის კლუბის უფროსი
დ. ლომაძე.

## ჩვენი საქმიანობა

5 ტერ-ლეგიონი.

მე-3 ათასეულში წარმატებით მიდის მეცადინეობა, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგში.

ხსენებულ ათასეულში წითელ-არმიელები ცვალებადელებთან ერთად კარგად ითვისებენ პოლიტიკურ და სამხედრო საქმეს. ათასეულში არის დაარსებული ახალგაზრდა კომკავშირის ჯგუფი, სადაც ხშირად იმართება კრებები.

არის აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა.

ჩვენს რიგებში იყო 21 წერა-კითხვის უცოდინარი, მაგრამ მასწავლებელ ბარამიძის დაუღალავი შრომის წყალობით მათ ადრე შეისწავლეს წერა-კითხვა, რისთვისაც ჩვენ მადლობას უცხადებთ მასწავლებელს.

სამხკორი სპანდერ—ოღლი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## მეცადინეობა უვადო შვებულებაში გასაშვებ წითელ არმიელებთან.

ცხენოსანი ლეგიონი

1924 წელში გამოწვეულ წით. არმიელთა შორის სწარმოებს განსაკუთრებული მეცადინეობა ყველა იმ საკითხების ირგვლივ, რომელთაც სოფლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ; კოოპერაცია, გლეხკომი, საბჭოები და სხვა, აი რას ექცევა უმთავრესი ყურადღება.

აღსანიშნავია ის აქტიობა, რომელსაც იჩენენ ცხენოსან ლეგიონის უვადო შვებულებაში გასაშვები წითელი არმიელები. ისეთ შეკითხვებს იძლევიან, რაც ამტკიცებს, რომ მათ მიიღეს წითელ ყაზარმაში საკმაო სამხედრო ცოდნა და გონებრივი განვითარება.

ყოველივე ეს თავდებია იმისი, რომ ჩვენი წითელი მებრძოლნი გაამართლებენ იმ იმედებს, რასაც ჩვენ ვამყარებთ მათზე.

წ. არმიელი მ. ჩახაია.

## შეიბრალეთ ცხენები!

(მე 2 ლეგ.)

მე-2 ქართულ მსრ. ლეგიონის მზვერავებს შემოდგომიდან ყავს განსაზღვრული რიცხვი ცხენებისა.

ბანაკათ გასვლის შემდეგ ექვსი გახდა ავად და მოთავსებული იქნა ცალკე.

მზვერავების მუშაობის სიმძიმე დააწვა დანარჩენ ცხენებს. მზვერავების სამუშაო დიდია: ამ ცხენებით დავდივართ საზვერავ ამოცანების შესასრულებლად და მათი საშუალებით ვაწარმოებთ სხვა ცხენოსნურ მეცადინეობას.

ამით არ თავდება ცხენების მუშაობა.

შემდეგ მათ აბამენ ფურგუნებში და მთელი დღე ამუშავებენ. ერთი რომ ისინი ძალზე იღლებიან და მეორე საჯდომი ცხენის ფურგუნში შებმა არ შეიძლება. ის ფუჭდება და ხელახლად გვიხდება მისი გაწვრთნა.

სასურველია, რომ ჩვენს ცხენებს ფურგუნებში არ ამუშავებდენ.

ამისათვის სამნეოს ყავს თავის ცხენები.

მზვერავი.

## მოგვეცით კარგი ხარისხის პური!

ქართულ და რუსულ სამხედრო პოლიტიკურ სკოლებს ძალიან ცუდი და უსუფთაოდ გამომცხვარი პური ეძლევა.

პური არ არის კარგად გამომცხვარი და შიგ ვპოულობთ ჯოხებს და სხვა ასეთებს. საჭიროა მიაქციოს ამას ყურადღება სამნეო ნაწილმა და მოგვცეს ისეთი პური, როგორიც სხვა ნაწილებს ეძლევა.

სამხკორი მიხო საწირელი.

## ენერგიულად ვმეცადინეობთ.

ქართ. სამხედრო პოლიტსკოლა.

ჯერ კიდევ კარგად არ იყო გათენებული, რომ ნაწილი კურსანტებისა შეუდგა გაკვეთილების სწავლას.

მორიგე უკრძალავდა მათ ამას, მარა ისინი ჩუმათ მაინც სწავლობდენ. დაირეკა ზარი. დანარჩენი კურსანტებიც ადგენ. ამოკითხვის შემდეგ დაიწყო სამწყობრო მეცადინეობა.

სამწყობრო მეცადინეობის შემდეგ იწყება საერთო საგნების სწავლა. მართალია, ჩვენთვის, ვისაც კლასიკური ცოდნა არ მიგვიღია გვიძნელდება, მარა ვცდილობთ, რომ არ ჩამოვრჩეთ სხვებს და ამიტომ, რასაკვირველია ზედმეტი მუშაობა გვიხდება. ჯერ კიდევ სკოლაში ყველას სძინავს, რომ ჩვენ ამდგარი ვართ და ვმეცადინეობთ. სკოლაში სუსტი ამხანაგები გამოყოფილნი არიან და მათთან ზედმეტს მეცადინეობენ ლექტორები.

ახ. კურსანტი მ. საწირელი.

## შეისწავლეთ წერა-კითხვა.

მე-5 ტერ ლეგიონი.

ჩვენს მე-3 ათასეულში ცვალებადელების მიღებისთანავე იქნა გახსნილი უცოდინართების სალიკვიდაციო სკოლა.

მუშაობა წარმატებით წარმოებს. სკოლაში გაერთიანებულია მთელი წერა-კითხვის უცოდინარი ცვალებადელები, რომლებიც არაჩვეულებრივი მუყაითობით ეკიდებიან სწავლის საქმეს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს მუშაობა დაგვირგვინდება სასურველად, ჩვენს რიგებში წერა-კითხვის უცოდინარობას ბოლო მოეღება და სკოლა შეასრულებს თავისი დიად ამოცანას.

სამხკორი 121.

## ვემზადებით გამოცდებისათვის.

1 ლი არტლეგიონის არტსკოლა.

1-ლი საარტილერიო ლეგიონის არტსკოლის კურსანტები ბანაკათ გასვლის შემდეგ შეუდგენ ზამთრის პერიოდში თეორიულად მიღებულ ცოდნის პრაქტიკულად განხორციელებას.

სროლის წესები ჩვენს კურსანტებს სათანადოთ აქვთ შეთვისებული. ხშირად ისინი ერთი მეორეს უკეთებენ გამოცდებს განვლილ საგნებში.

გულმოდგინეთ ემზადებიან გამოსაშვებ გამოცდებისათვის. მალე მოხდება კურსანტების გამოშვება.

სამხკორი ბაშელი.

## ფეხსაცმელებს თავის დროზე უნდა შეკეთება.

1-ლ საკავშირო ასეული.

1-ლ საკავშირო ასეულში არის ფეხსაცმელების სახელოსნო, სადაც წინედ მუშაობდა ორი ხელოსანი.

ამასწინედ ერთი მათგანი მოხსნეს, დარჩენილი ერთი ხელოსანი კი ვერ აუდის ყველა სამუშევარს. სამუშაო კი ბევრი აქვს ეხლა მას, რადგან ბანაკათ ყოფნის დროს ხშირად ალლუმებზე სიარული და მინდვრად მეცადინეობის გამო ადრე გვეხევა ფეხსაცმელები.

საჭიროა ამას მიაქციოს ყურადღება სამნეო ნაწილის უფროსმა და მოუმატოს ხელოსნები, რომ თავის დროზე იქნეს შეკეთებული ფეხსაცმელები.

სამხკორი კლდის ძირელი.

## პირველ ლეგიონის სამნეო ნაწილის საყურადღებოთ.

გაზეთ „წითელ არმიელის“ № 144 ჩვენ მოვათავსეთ კორესპონდენცია იმის შესახებ, რომ რამოდენიმე წითელ არმიელები პირველ ლეგიონიდან ვართ მივლენილი პირველ ცალკე საკავშირო ასეულში კურსებზე და ჩვენც უნდა მიგველო საზაფხულო ტანსაცმლის მთელი კომპლექტი, მაგრამ ამ განცხადებამ, როგორც სჩანს, სრულიად უყურადღებოდ ჩაიარა და დღესაც არ მიგვიღია ტანსაცმელი.

ამისათვის მოვითხოვთ სამნეო ნაწილისაგან სათანადო ყურადღებას და თავის დროზე კუთვნილის მოცემას.

ც. საკავშირო ასეულში მივლენილი წით. არმიელი.
ალ. კაკაბაძე.

# პარტიული ცხოვრება.

## მე-3 ლეგიონის კომუჯრედის მუშაობა.

**პარტმუშაობა.**

პარტიული კრება ლეგიონში ეწყობა თვეში ერთჯერ, კომუჯრედის კრებები კი თვეში ოთხჯერ. ხშირად ეწყობა ღია კრებები, რასაც ესწრებიან უპარტიო წითელ-არმიელები. არის ლტოლვა პარტიაში შემოსვლის. უჯრედებს აქვს კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან. არ აქვს ადგილი დისციპლინის დარღვევას.

**პარტსკოლა.**

მე-3 ლეგიონში არსებობს პირველი საფეხურის პარტსკოლა. პირველ ივლისამდი სკოლა იყო ერთ ჯგუფათ, შემდეგ წევრების სიმრავლის გამო გაიყო ორ ჯგუფათ. მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად. მოხსენებებს ამზადებს თვით პარტსკოლის ხელმძღვანელი. მეცადინეობას ორივე ჯგუფიდან ესწრება სამოცი კაცი. მეცადინეობის დაწყებამდე ხდება გამოკითხვა გავლილ თემებზე.

კომკავშირელთა შორის ‡გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. კრებები იმართება თვეში ოთხჯერ.

გ—ტი.

## ხელმძღვანელობა კომკავშირზე.

**1 ლი ლეგიონი.**

ბიურო კოლექტივი ხელმძღვანელობას უწევს ა. კ. კავშირის ჯგუფებს, რომელნიც დაარსებულია ასეულებში.

მის მიერ გამოყოფილია ორგანიზატორი ლეგიონის მაშტაბით, რომელიც ესწრება ბიუროს სხდომებს და კომკავშირის საკითხები იჭრება მასთან ერთად. ყველა ასეულებში ჩამოყალიბებულია კომკავშირის ჯგუფები. ასეულებს ყავს ასეულების ორგანიზატორები და კომუჯრედის მდივანთან, ერთად ხდება დღის წესრიგის გამომუშავება.

კომკავშირის წევრებს კარგი ავტორიტეტი აქვთ უპარტიო მასაში. დისციპლინას მტკიცეთ იცავენ. მათ კავშირი აქვთ მე-3 რაიკომკავშირთან და სხვა. ყოველივე დავალებებს კომკავშირელები შეურყევლათ ასრულებენ, როგორც პარტიისას, ისე კომკავშირისას.

უპარტიო წითელ-არმიელები ეწერებიან კომკავშირის წევრებათ.

წრეებში აქტიურ მუშაობით კომკავშირლები იჩენენ პირველობას ყოველივე დარგში.

ს. იმნაიშვილი.

## მე-2-რე არტლეგიონის კომუჯრედში.

24 ივლისს შესდგა საგაუბიცო ბატარეის კომუჯრედის და კომკავშირების ღია კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. მე-14-ტი პარტკონფერენციის ანგარიშები, 2. პარტიაში მიღების შესახებ, განცხადებების განხილვა და 3. მიმდინარე საკითხები.

მე-14-ტე პარტკონფერენციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბრეგვაძემ. მომხსენებელმა ვრცლათ გააშუქა ყველა ის საკითხები, რომელიც იყო დასმული მე-14-ე პარტკონფერენციაზე. იყო შეკითხვები, რომელზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. შემდეგ განვიხილეთ ანკეტები ძველი წითელ-არმიელებისა, რომელნიც საკმაო შეკითხვების შემდეგ ერთხმად იქნენ მიღებულნი—ორი პარტიის კანდიდატათ და ერთი კომკავშირის წევრად, კრების მიერ იქნა არჩეული 5 კაცისაგან შემდგარი სარედაქციო კოლეგია. კედლის გაზეთი იქნება ორკვირეული, გამოვა „ფინდიხი“-ს სახელწოდებით. გამორიცხული იქ ნა კომუჯრედიდან ლოთობისათვის და დისციპლინის დარღვევისათვის ძველი კომკავშირის წევრი, ამხ. ვასო მაისურაძე, რომელიც ბევრჯელ იყო გაფრთხილებული.

პარტკორი ქვემეხი.

## ლენ-ახკომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება.

**მეექვსე ლეგიონი.**

მე-6 ტერ-ლეგიონის პირველი ათასეულში თვითეული ასეულის კომუჯრედთან დაარსებულია პარტიის დამხმარე ახკომკავშირის უჯრედები, რომელთაც გამოყოფილი ჰყავთ ასეულის მაშტაბით ახკომკავშირის წევრებს შორის მომუშავე ორგანიზატორები. უჯრედებთან არსებულ დამხმარე ჯგუფების ორგანიზატორები ყოველგვარ დირექტივებს ღებულობენ ლეგიონის პასუხისმგებელ ორგანიზატორისაგან, ხოლო უკანასკნელი დევიზ ის პოლიტგანყოფილებიდან.

ახკომკავშირის დამხმარე უჯრედების კრებები ეწყობა სისტემატიურად თვეში ორჯერ, სადაც ირჩევა სხვა და სხვა შინაარსის საკითხები, როგორც არის ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიიდან და აგრეთვე თვით კავშირის ყოფა-ცხოვრების საკითხებიც.

ამ ათი დღის წინად შესდგა ლენ-ახკომკავშირის დამხმარე უჯრედების გაერთიანებული კრება უჯრედებზე მომაგრებულ ფოსტა-ტელეგრაფის ახკომკავშირის უჯრედთან ერთად, რომელსაც დაესწრო უმრავლესობა ჩვენი ახკომ-კავშირის წევრებისა.

დღის წესრიგში, სხვა საკითხთა შორის, დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1. თბილისის ლენ-ახკომკავშირის კომიტეტის პლენუმის შედეგების შესახებ. 2. შანხაის ამბების შესახებ, 3. ახკომკავშირის რიგებში ორი ახალგაზრდის მიღება და 4. მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა ფოსტა-ტელეგრაფის უჯრედის წევრი ამხ. კვირაია, რომელმაც გააცნო კრებას პლენუმის მთელი რიგი დადგენილებების შინაარსი. მოხსენება ძალიან საინტერესო იყო, რამაც გამოიწვია აუარებელი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი, რის დამთავრების შემდეგ გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია, რომელშიდაც უჯრედების გაერთიანებული კრება ყოველ ღონისძიებას იხმარს დადგენილებების ცხოვრებაში პრაქტიკულად გასატარებლად.

შანხაის ამბების შესახებ მოხსენებაგააკეთა ცვალებადელმა ამხ. გოგიამ.

მე-3 საკითხში განხილული იქნა განცხადებები და ანკეტები ორი ახალგაზრდისა, რომლებიც თხოულობდენ ახკომკავშირის რიგებში შემოსვლას მათი ყოველ მხრივად დახასიათების შემდეგ დადგენილი იქმნა ღძრულ იქნას შუამდგომლობა სათანადო ორგანოს წინაშე მათი ლენ-ახკომკავშირის რიგებში დასამტკიცებლად საერთო წესით, როგორც მუშები, რის შემდეგ კრება დაიხურა.

ლეგპარტკორი ნ, ასათიანი.

## სხვა და სხვა ნაწილების წერილებიდან.

### ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

24 ივლისს პირველი ლეგიონის წარმომადგენლები გაემგზავრენ ტყავტრესტის უჯრედის პარტიულ კრებაზე მოხსენების გასაკეთებლად წითელი ჯარის ყოფა-ცხოვრების შესახებ. აგრეთვე ტყავტრესტის მუშებიც ესწრებიან ჩვენს კრებებს და გვაცნობენ თავიანთ ცხოვრებას. წითელ არმიელები დიდათ მოხარულნი არიან ამ კავშირით.

სამხკორი **ჩაგელიშვილი.**

### ჩვენც გვინდა ვისწავლოთ სროლა.

პირველ ლეგიონის სამნეო გუნდთან არიან შტაბის წითელ არმიელები. ამ რამოდენიმე ხნის წინად ისინი ერთჯერ გაიყვანეს სროლაზე. შემდეგ არ გაუყვანიათ.

ნუ თუ მათთვის არ არის საჭირო სროლის შესწავლა? მიაქციეთ ამას ყურადღება.

სამხკორი **ჩ—ლი.**

### ჩვენი სტუმრები.

20 ივლისს მე-4 ლეგ. მე-8 და მე-9 ასეულებს ესტუმრენ №-ს ახკომკავშირის წევრები. მათ მოსვლამ დიდი სიხარული გამოიწვია წითელ არმიელებში. ყაზარმების დათვალიერების შემდეგ გაიმართა საუბარი. წითელ ჯარის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ერთმა ამხანაგმა.

სამხკორი ა. **იმერლიშვილი.**

### მიაქციეთ ყურადღება.

მე-5 ლეგიონის მე-3 ასეულის რამოდენიმე წითელ არმიელები მიმაგრებული არიან ქსენონზე. ისინი სამეცადინოთ დადიან ჩვენს ლეგიონში, მაგრამ ხშირად იგვიანებენ საქმეების გამო და ვერ უსწრებენ მეცადინეობას. კარგი იქნება მათ ქსენონში ამეცადინებდენ.

სამხკორი **№.**

### ამას არ უნდა ქონდეს ადგილი.

მე-3 ლეგიონის სამნეო ასეულის ნაწილში უწესრიგობას აქვს ადგილი. ხშირად ვხდებით მოწამე ასეთ შემთხვევის: ზოგიერთი წითელი არმიელი ვერ ჭამს თავის პურს და მეორე დღეს მიაქვს ძველი პური და ცვლის ახალზე და ძველს კი ურიგებენ სხვებს.

ასეთი უწესრიგობა უნდა მოისპოს.

სამხკორი **მიხეილ ბაიაძე.**

# მეცნიერება და ტეხნიკა

**გიგანტების კუნძული.**

ექსპედიციამ, რომელიც გამგზავრებული იყო კუნძულ გალოპაგოსზე (პოლინეზია), დაბრუნებისას მოიტანა მეტად საინტერესო ცნობები და ფოტოგრაფიული სურათები. გალოპაგოსი—კუნძულია გიგანტების დიდ ტანიან ცხოველების და ადამიანების): ყოველივე სულიერი, რომელიც მასზე ცხოვრობს უზარმაზარი აგებულობისაა. ადამიანები ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი სიმაღლის არიან, პეპლები კი ერთი მთელი და სამი-მეოთხედი მეტრის. ჯერ კიდევ დარვინი, რომელმაც პირველად ინახულა გალოპაგოსი, იხსენიებდა უზარმაზარ თავის ქალებს. ახალ ექსპედიციამ აღმოაჩინა თავის ქალები, რომლებიც გა-



**უზარმაზარი კუ, რომლის ქერქზე ზის ბუმბერაზი პოლინეზიელი.**

ცილებით დიდი არიან, ვიდრე დარვინის მიერ აღწერილი თავის ქალები.

მრავალი ცხოველების სახეები შენახულია იმ სახით, როგორც ისინი არსებობდენ მრავალ საუკუნეების წინად. მაგალითად იქ აღმოჩენილია ერთად ერთი თავისებური ცხოველი „ლეგუანი,“ რომელიც ძალიან წაავავს მრავალი ათასი წლის წინად არსებულ და შემდეგ ამოწყვეტილ იგუანოდონებს.

**ჰაეროპლანების სადგური ზღვაში.**

ამერიკაში წყალში ჩაუშვეს საავიაციო სადგური, გემი „სარატოგა“. ამ გემზე მოწყობილია სადგომი 72 ჰაეროპლანისათვის. გემზე დადგმულია ისეთი მძლავრი მოტორები, როგორიც არც ერთ საოკეანო გემს არ მოეპოება. ეს მამოძრავებლები სპეციალურად მოწვეულ ინჟენერების ხელმძღვანელობით შენდებოდენ იმ ანგარიშით, რომ გემს შესძლებოდა ატლანტიის ოკეანეს გავლა 4 დღეში.

„სარატოგას“ სიგრძე გემი არ მოიძებნება მსოფლიოში. მისი სიგრძე უდრის 268 მეტრს (ერთ მეოთხედ ვერსზე მეტი). გემის ზედა იატაკი იმდენად დიდია, რომ ჩვეულებრივ სამხედრო გემს დაიტევს.

„სარატოგას“ აგება დაიწყო 1916 წელში და ის უნდა შესულიყო შეერთებულ შტატების სამხედრო საზღვაო ფლოტში, როგორც უდიდესი და უძლიერესი დრედნოუტი. ომის დასრულებისას „სარატოგა“ არ იყო დამთავრებული და ის გადააქციეს საავიაციო ტრანსპორტათ. „სარატოგას“ წყალტევა უდრის 33.000 ტონს და მასზე შეუძლია მოთავსდეს 72 ჰაეროპლანს.

„სარატოგას“ აგება მთელი მისი მოწყობილობით დაჯდა 45.000.000 დოლარი (90 მილ. მანეთი).

მისი სისწრაფე საათში უდრის 63 ვერს.

მისი მამოძრავებლების სიმძლავრე უდრის 180.000 ცხენის ძალას. ორთქლი მუშავდება 16 ქვაბში.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართ. მსრ. ლეგიონის სკოლის კომ-უჯრედში ჩვენივე სკოლის ახ. ლ. კ. კავშირის წევრად მიღების შესახებ შემოტანილი აქვთ განცხადება შემდეგ წ. არმიელებს: 1. ტრიფონ ეფრემის-ძე აგლაძეს, რაჭის მაზრა, სორის თემის სოფელ მხლის მცხოვრები, გლეხი, მცირე მცოდნე. 2. ტენტერაშვილი დავით ამბაკოს-ძეს, გორის მაზრა, სოფელ ქვემო-ჭალის მცხოვრები, გლეხი, მცირე მცოდნე, უპარტიო. 3. ალექსანდრე იორდანეს-ძე ნებიერიძეს, გორის მაზრა, ცხინვალის თემის, სოფელ კეხვის მცხოვრები, გლეხი, ღარიბი, მცირე მცოდნე. უპარტიო. 4. ივანე ოქროპირის-ძე ბარელაძეს, გლეხი, უპარტიო, შორაპნის მაზრის, ჰერევის თემი სოფელ პერევისა. 5. ალექსანდრე დიმიტრის-ძე ქლენტს, შორაპნის მაზრა, კლდეეთის თემი, სოფელ კვალითის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო, განათ. ორი კლასი. 6. ნიკოლოზ ლუკას-ძე ყუფარაძეს, შორაპნის მაზრა, ზესტაფონის თემი, სოფელ საქარის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 7. აკაკი ოქროპირის-ძე კურცხალიას, შორაპნის მაზრა, სოფ. ზორვეთის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 8. ბართლომე მიხეილის-ძე ხუხუნაშვილს, ოზურგეთის მაზრა, სოფ. ზემო აკეთის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 9. კალისტრატე მალხაზის-ძე ოქრუაძეს, შორაპნის მაზრა, თერჯოლის თემი, სოფელ ტელეფას მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 10. სიმლარ ლაზარეს-ძე გედენიძეს, ქუთაისის მაზრა, სოფელ კინჩხას მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 11. მიხეილ მარკოზის-ძე ჭანკვეტაძეს, შორაპნის მაზრა, სოფელ საქარას მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 12. ანდრია ნიკოლოზის-ძე დევიძეს, შორაპნის მაზრა, თერჯოლის თემი სოფ. თერჯოლას მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 13. ვენედიკტე ამბაკოს-ძე ვაშაკიძეს, ქუთაისის მაზრა, დიდი ჯიხაიშის მცხოვრები, გლეხი, უპარტიო. 14. ბენია კირილეს-ძე ლომაძეს, ოზურგეთის მაზრა, სოფ. ჩიბათი, გლეხი, უპარტიო.

თუ ვინმეს აქვს ზემო აღნიშნულ ამხანაგების შესახებ რაიმე უარყოფითი, გვაცნობეთ ხუთი დღის განმავლობაში 1-ლ ლეგ. სკოლის კომ-უჯრედში.

მე-6 ლეგიონის მე-11 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება მე-9-რე ასეულის მამსახლის ამხ. გვასალია პარმენ გიორგისძეს კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ.

გთხოვთ აცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მე-3-მე ათასეულის კომუჯრედს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ფ. ს. ც. სამხედრო სტამბა ელის 1. № 3.